უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება
ქ. თბილისი

MES 9 23 0001029782

23/08/2023

შპს ავიცენა - ბათუმის სამედიცინო უნივერსიტეტის ავტორიზაციის შესახებ

დაწესებულების მიერ თვითშეფასების ანგარიშში ასახული ინფორმაციის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 56^1 მუხლის მე-3 პუნქტის, 56^2-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ 77-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 79-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, მე - 5 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

საბჭომ გადაწყვიტა:

1. შპს ავიცენა - ბათუმის სამედიცინო უნივერსიტეტს (ს/კ: 445655700) 6 წლის ვადით მიენიჭოს ავტორიზაცია (სასწავლო უნივერსიტეტი) და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1080-ით.
2. შპს ავიცენა - ბათუმის სამედიცინო უნივერსიტეტს მიენიჭოს უფლებამოსილება, კანონმდებლობით დადგენილი წესითა და პირობებით განახორციელოს დანართით გათვალისწინებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა.
3. გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2023 წლის 23 აგვისტოს.
4. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 23 აგვისტოს №1029754 სხდომის ოქმის პირველი ნაწილი და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა შპს ავიცენა - ბათუმის სამედიცინო უნივერსიტეტის შესახებ ცნობილ იქნას გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.

5. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება კანონით დადგენილი წესით, შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის მე-2 შესახვევი №2 ან ქ. თბილისის სამოქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
გვენეტაძე გაგა

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
შენგელია კახა

დანართი 1. შპს ავიცენა - ბათუმის სამედიცინო უნივერსიტეტის თვითშეფასების ანგარიშში მოცემული საგანმანათლებლო პროგრამა

#	პროგრამის დასახელება	საფეხური	სწავლების ენა	მისანიჭებელი კვალიფიკაცია (დეტალური სფეროს კოდი)	ECTS	პროგრამის განხორციელების ადგილი
1	დიპლომირებული მედიკოსი	ერთსაფეხურიანი	ინგლისური	დიპლომირებული მედიკოსი (0912)	360	ქ. ბათუმი, ტბეთის ქ. №4